გაზეთის ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 | თვით | . . 10 მ. | — კ. |
| 11 | ,, | . . 9 ,, | 50 ,, |
| 10 | ,, | . . 8 ,, | 75 ,, |
| 9 | ,, | . . 8 ,, | — ,, |
| 8 | ,, | . . 7 ,, | 25 ,, |
| 7 | ,, | . . 6 ,, | 50 ,, |
| 6 | ,, | . . 6 ,, | — ,, |
| 5 | ,, | . . 5 ,, | 50 ,, |
| 4 | ,, | . . 4 ,, | 75 ,, |
| 3 | ,, | . . 3 ,, | 50 ,, |
| 2 | ,, | . . 2 ,, | 75 ,, |
| 1 | ,, | . . 1 ,, | 50 ,, |

# ივერია

№ 234 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 234

**წლიური ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1-ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.



**ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა, ქართული წარმოდგენების გამგე ამხანაგობის დირექცია** და **ქართულ-დრამატიულ დასის მსახიობნი** ამით აუწყებენ ქართველ საზოგადოებას, რომ ოთხშაბათს, 13 ოკდომბერს, დილის 12 საათზედ კალოუბნის ეკლესიაში დანიშნულია პანაშვიდი მარად დაუვიწყარის ქართულის თეატრის დამაარსებელის

**თავადის გიორგი ერისთავის**

სულის მოსახსენებლად. (2—2)



წარმოდგენა № 1.

## სახაზინო თეატრი

ოთხშაბათს, 13 ოკდომბერს, 1904 წ.

ქართულ დრამატიულ დასის-მიერ წარმოდგენილი იქნება

**სეზონის დასაწყისად**

სახსოვრად თავ. გიორგი ერისთავისა, რომლის გარდაცვალებიდან შესრულდა 40 წელიწადი, († 9 სეკდემბერს 1864 წ).

I

**გაყრა**

პირვ. მოქმ. გ. ერისთავი 4 მოქმ. კომ.

II

**ძუნწი**

პირველი მოქმედება გ. ერისთავის ორ მოქ. კომედ.

III

**დავა**

3 და 4 მოქმ. გ. ერისთავის 4 მოქმ. კომედიიდან.

IV

**დასასრულ სადღესასწაულო აპოთეოზი**

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ. მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი,

დირექცია ამხანაგობისა. მორიგი რეჟისორი ვ. აბაშიძე.

შემდეგი წარმოდგენა სახაზინო თეატრში ოთხშაბათს, 20 ოკტომბერს. წარმოდგენილი იქნება ვ. შექსპირის 5 მოქმედებიანი ტრაგედია **„იულიუს კეისარი“**.



დოქტორი მედიცინისა

**გ. ა. ახვერდოვი**

სპეციალისტი ვენერიულ ავადმყოფობისა და სიფილისისა. მიიღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათამდე, საღამოთი 6—9 საათამდე.

კუკია, სემიონოვის ქუჩა, № 20. (30—18).



ოქტომბრიდან გამოვა ხელახლად საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

**„ჯეჯილი“**

იმავე პროგრამით და იმავე რედაქტორობით წლიური გამოცემის ფასი 4 მ., ქალაქ გარედ 5 მან.



ქართული თეატრის განცხადება.

**ქართულ წარმოდგენების გამგე ამხანაგობა** ამით საყოველთაოდ იუწყება, რომ დამდეგ სეზონში ქართული წარმოდგენები გაიმართება **ტფილისის სახაზინო თეატრში** ყოველ კვირაში ოთხშაბათობით და **საკრებულო დარბაზში** (კლუბში)—ყოველ კვირა დღეს.

მსახიობი ქალნი:

ტ. აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. ჩხეიძე, ა. კარგარეთელი, ნ. მესხი, ბ. ნებიერიძისა და ნ. ჯავახიშვილი.

მსახიობი ვაჟნი:

ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, კ. მესხი, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი, ს. სვიმონიძე, ვ. შალიკაშვილი, გ. გედევანოვი, ი. ივანიძე, ა. იმედაშვილი, ნ. სარჯველაძე, გ. იორდანაშვილი, ბ. ბეგლარიძე, ა. წუწუნავა.

საგასტროლოდ მოწვეულნი იქნებიან:

ე. ს. მესხი და ვ. ს. ალექსი-მესხიშვილი.

რეპერტუარი:

**შექსპირი:** «იულიოს კეისარი», ტრ. 5 მოქმ.

**მოლიერი:** «კრიჟანგი», კომედია 5 მოქმ.

**შილლერი:** «ორლეანელი ქალი», ტრაგ. 5 მოქმ.

**ევრიპიდე:** «მედეია», ტრაგ. 1 მოქმ.

**იბსენი:** «საზოგადოების ბურჯნი», «მოჩვენებანი», დრამა 5 მოქმ., «ხალხის მტერი ანუ ექიმი შტოკმანი».

**ჰაუპტმანი:** «როზა ბერნდტი», დრამა 5 მოქმ., «მზის ამოსვლამდის», დრამა 5 მოქმ., «სულით ობოლნი», დრ. 3 მოქმ.

**ზუდერმანი:** «მამული» (მაგდა), დრ. 4 მოქმ., «ფრიცხენ», დრ. 1 მოქმ.

**ბარრეტი:** «ახალი მოძღვრება», დრ. 5 მოქმ.

**ჯიაკომეტი:** «ივდითი», ტრაგ. 5 მოქმ.

**ფერარრი:** «მებრძოლნი აზრისათვის», ისტორ. კომ. 4 მოქმ.

**მეტერლინკი:** «ბრმანი», დრ. 7 მოქმ. «სულით საიდუმლონი», დრამა 5 მოქმ.

**გიუ-დემოპასანი:** «M-lle ფიფი».

**შნიტცლერი:** «მწვანე თუთიყუში» 1 მოქმ.

**დრეიერი:** «მასწავლებელი», კომ. 4 მოქმედ.

**ფილლიპპი:** «კაცობრიობის კეთილ-მოყვარენი», დრ. 3 მოქმ.

**ბრიე:** «მსაჯული» (წითელი მანტია).

**გ. ერისთავი:** «ყკარყვარე ათაბაგი».

**სუმბათაშვილი:** «ღალატი», დრამა 5 მოქმ.

**დ. ერისთავი:** «სამშობლო», დრამა 5 მოქმ.

**შ. დადიანიშვილი:** «შიო თავადი», ისტორიული დრამა 3 მოქმ.

**ნ. აზიანი:** «სამშობლოს ბურჯნი», კომ. 2 მოქმ.

**ტრ. რამიშვილი:** «მეზობლები», დრ. 4 მოქმ.

**ი. ევდოშვილი:** «ჭრელი სუფრა».

**ვ. გუნია:** «სხვის ნაოხარზე», დრ. 3 მოქმ.

**დ. ნახუცრიშვილი:** «ოჯახის ბურჯი».

აგრეთვე ძველი ცნობილი პიესები.

მორიგი რეჟისორნი: ვ. აბაშიძე, ვ. გუნია და კ. მესხი.

პირველი წარმოდგენა იქმნება ოთხშაბათს, 13 ოკდომბერს, სახაზინო თეატრში.

დირექცია ამხანაგობისა. (3—1).



ტფილისის სახაზინო თეატრი.

ოთხშაბათს, 13 ოკდომბერს, გაიმართება ქართულ დრამატიულ საზოგადოების-მიერ ქართული წარმოდგენა.

წარმოდგენილი იქმნება

გ. ერისთავის სახსოვრად **„გაყრა“** (პირველი მოქ.); **«ძუნწი»** (პირველი მოქ.); **დავა** (მესამე და მეოთხე მოქ.) და **სადღესასწაულო აპოთეოზი**

მონაწილეობას იღებს მთელი დასი.

ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტისტის

**ლ. დ. დონსკოისა**

ხუთშაბათს, 14 ოკდომბერს

გასტროლი ვ. ნ. პეტროვა-ზვანცევისა და ბ-ნ ლ. დ. დონსკოის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება

**იოან ლეიდენსკი**

ოპერა 4 მოქმ. მუსიკა მეიერბერისა.

ბალეტს განაგებს **ჯიოვასსი**. პრიმა-ბალერინა **ლენჩევსკაია**.

უფროსი რეჟისორი ს. ფ. გეტევიჩი. კაპელმეისტერი ნიკ. მიკლაშევსკი.

**ფასები ჩვეულებრივია.**

დასაწყისი 8 საათზედ.

პარასკევს, 15 ოკდომბერს, ლ. დ. დონსკოის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

**პიკოვაია დამა**

მუსიკა ჩაიკოვსკისა.

შაბათს, 16 ოკდომბერს, მეორე გალა წარმოდგენა ვ. ნ. პეტროვა-ზვანცევის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

**ვერთერი**

ოპერა 4 მოქმ., მუსიკა მასსენესი.

მზადდება პირველად ტფილისში **«ნერონი»**, მუსიკა ა. რუბინშტეინისა.

**ბილეთები იყიდება.**

გამგე ი. გელდერი.



## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ყ. მ. ჩიძოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. ზ. ამეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**ქ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**მ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოლაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**საღამოობით:**

ქალი ექიმი **ა. ი. ზჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**მ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**პ. ა. არდაზიანი.** აწარმოებს მიკ... იურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას. 7 საათ.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახელში და მსურველთ მასსაჟსა, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.



**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—ყორდანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

**გძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

**კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9 საათიდამ საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

**გაბაშვილი გრიგოლ,**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**დიასამიძე ალექსანდრე,**—დვორისმელნიკოვის და ბართნის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ მესხიშვილის სახლი, № 18, იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 და საღამოთი 6—8-დე.



## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა წინად Набережная, სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**ა. ი. ბალარჯიშვილი**—ბავშვებისა, 9½—10½ ს.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 10—11 საათ.

**ლ. ი. კამოევი**—საშარდესი, ვენერიული და ხირურგია. 11—12 საათ. ყოველ დღე.

**მ. ი. კიმონტი**—ხირურგია—კვირაობ., სამშაბათ., ხუთშაბათ. და შაბათ. 11½—12½ საათ.

**მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 საათ.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია ყოველ დღე 12—1 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—სიფილისისა და კანისა, 12½—1½ საათ.

**გრ. ვ. სობოლევსკი**—ქირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით. 1—2 საათ.

**პ. ა. ბეიერი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

**ლ. მ. მონინი.** ქალისა, საბებ. და ბავშვ. და შემოწმება ძიძებისა ორშაბათ., ოთხშაბ. და პარასკევობით 2—1 საათ.

**ვ. ს. მუსხელაშვილი**—თვალისა ყოველ დღე, გარდა სამშაბ. და კვირ. 2—3 სათ.

**საღამოთი:**

**გრ. ვ. სობოლევსკი**—ქირურგია და ორთოპედია 5—6 სათ.

**ტ. ს. დავიდოვი**—შინაგანი და ბავშვებისა 5—6 საათ.

სამკურნალოში ჴხდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაქტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3—5 მანეთამდე დღე-ღამეში. სამკურნალო გაფართოვებულია ოცის კრაოტით.

ტელეფონი № 274


## ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

—

**ლიაოიანის ბრძოლა.** გულის ფანცქალით ვადევნებდით თვალს საშინელს ომს, რომელსაც ათის დღის განმავლობაში აწარმოებდნენ ჩვენი და იაპონელთა ჯარები ლიაოიანის მიდამოებში თერთმეტ აგვისტოდამ მოკიდებული ოცდა ერთ რიცხვამდე. ომი თითქმის უმაგალითო იყო კაცობრიობის ახალს ისტორიაში, და ჩვენს გულის წყრომას საზღვარი არა ჰქონდა, რომ დეპეშებიდამ ვერა ვტყობულობდით ნამდვილს ვითარებას საქმისას. ეხლა ბ-ნი ნემიროვიჩ-დანჩენკო დაწვრილებით გვიწერს ამ ომის ავ-კარგსა გაზეთ «რუსსკოე სლოვოში» და თანაც საკმარისის ბეჯითობით გვიხსნის, რომ დაწვრილიბითი ვითარება ომისა იმიტომ არ მოდიოდა ჩვენამდე, რომ თვითონ ომის მონაწილე პირებმაც არ იცოდნენ, ნამდვილად რა ხდებოდა ბრძოლის ამა თუ იმ ადგილზე, და რომ უმთავრესი ეპიზოდები გამოირკვა მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ, როდესაც ეს საზღაპრო ომი გათავდა ლიაოიანის დატოვებით. ჩვენ გვეგონა—ამბობს კორესპონდენტი,—ვითომც ოიამას სულ 25,000 მეომარი ჰყავდა და ამ ძალას ადვილად მოვიგერიებთ 190,000 ჯარით, რადგან მძლავრ სიმაგრეებში ვიდექითო; მაგრამ ის იმოდენა ზარალი, რომელიც მტერმა თამამად აიტანა, ის თავისუფლება, რომლითაც იგი დაკარგულ რაზმების სანაცვლოდ ახალ-ახალ რაზმებს წამოგვაყენებდა თავზედ, ის დარწმუნებული ტაკტიკა, რომლითაც გამალებული იწევდა სულ წინა და წინ, აშკარად გვარწმუნებს, რომ ოიამას ჰყავნდა არა ნაკლებ 400,000 კაცისა. დღეს რომ ერთ ადგილას შევვეთხელებინა იაპონელთა ჯარი და სრული რწმენა გვქონოდა, რომ აი ეხლა კი გავიმარჯვებთო, ხვალ იმავ ადგილს უფრო მრისხანე რაზმი ამოჰყოფდა თავსა, სრულებით შესვენებული და გულადი, როგორიც კი არის იაპონელი. ჩვენ ვერცკი მიმხვდარვიყავით, საიდან მოჰყავდათ ამოდენა ხალხი და ან დაიშრიტება როდისმე ის ჰაუზი, რომლიდამაც მომდინარეობს ეს უშველებელი ჯარის კაცობა. თანაც ჩინებულად შედგენილი გეგმა ბრძოლისა, აშენებული ადგილ-მდებარეობის საკვირველ ცოდნაზედ, ჰფუშავდა თითქმის ყოველსავე ჩვენს დაწყობილს საქმეს. ჩვენ არ გვესმოდა იმათი მოძრაობა, ამიტომაც ადვილადა გვჯეროდა, როდესაც, მაგალითად, გვარწმუნებდნენ, რომ მტერმა მიანება თავი ანსანჯანსა, სადღაც წავიდა იგი და ერთიან გაჰქრაო, რომ ჩვენთვის საკმარისია ერთი ფეხი კი წავდგათ წინა და გამარჯვება დაგვირგვინებს ჩვენს გაბედულობასაო. ის კი არა თუ რაწამსაც ფეხს წინ წავდგამდით, ფრთხილი მტერი მაშინვე წინ დაგვიხვდებოდა და ჩვენსავე გეგმას გამოგვგლეჯავდა ხელიდამ. თითქო ჩვენი განზრახვანი წინათვე ამოუკითხნია ჩვენის გულიდამაო, ისე ყოველი მისი ნაბიჯი და ყოველი მისი ხერხი დაპირდაპირებული გამოდგებოდა ხოლმე ჩვენის მისწრაფების წინაალმდეგ. ამისთანა გარემოებაში, რასაკვირველია, ბრძოლის ინიციატივა მტერს უნდა შერჩენოდა, ის იყო გამგე არა მარტო თავიანთ მოქმედებისა არამედ ჩვენისაც. როცა უნდოდა, დაიწყობდა ბრძოლას; როცა მოისურვებდა, შეაჩერებდა; საიდამაც მოიწადინებდა, იქიდამ მოიტანდა იერიშს, და ჩვენ კი ასი ვერსის მანძილზედ ლოდინში უნდა ვყოფალიყავით და ყველგან თვალგაფაციცებული ვმდგარიყავით დღე და ღამე რომ უცებ სადმე არ დაგვსხმოდა თავსა. უნდოდა, გაოლიანის ყანაში გაქანდებოდა და იქიდამ შემოგვივლიდა გვერდში, უნდოდა, გორაკებზედ

ახტებოდა და შრაპნელით სულს შეგვიხუთავდა. ესეც კია, რომ ჩვენთვის ეს გაოლიანის ყანები იმავ საბაბად შეიქმნა, როგორც ტრანსვაალში ინგლისელებისთვის «ჯორები» იყვნენ. ისინი იძახოდნენ—ჩვენი დამარცხება ჯორების ბრალიაო, ჩვენ კიდევ «გაოლიანით ვიოხებთ გულსა. რის გაოლიანი და რის ჯორები. ასეთი მოწინააღმდეგე, როგორიც იაპონელია, თავის დღეში დამარცხებულად არ ჩასთვლის თავსა. ტყუილად კი არა აქვთ ანდაზა: «სიკვდილის მეტი ვერა დაამარცხებს-რა კაცსაო, ისიც მხოლოდ უშიშლოსაო». მანამ სული უდგა, ომობს მრისხანეთ, მანამ არ გააგდებ; გააგდებ კიდე-და, ერთწამს უკან კვლავ შენკენ იწევს ვთქვათ, გაიმარჯვე და გინდა შეისვენო. სწორეთ ამ შესვენებისას მოგვარდება, რომ ხელ-ახლა შეგებრძოლოს. თითონ-კი უყვართ განცხრომით შესვენება გამარჯვების შემდეგ; მაგრამ თუ დაამარცხე, იმან არ იცის დაღლა, ვიდრე უკანვე არ დაიბრუნებს წართმეულსა და დაკარგულს. ამისთანა მტერთანა გვქონდა განუწყვეტელი ომი ათის დღის განმავლობაში. სამხედრო წესი ნებას არ აძლევს იაპონელებს, რომ ღამით იბრძოლონ; მაგრამ ამ ათ დღეში ყოველივე წესი მიატოვეს და არ დაგიდევდნენ არც დღესა და არც ღამეს. მიზეზიც ეს იყო, რომ ჩვენი პირველი კორპუსი ხუთის დღის განმავლობაში არ გამოსულა ომის ქექა-ქუხილისაგან, ხუთი დღე-ღამე არ დაუძინია რიგიანათ, ხუთი დღე-ღამე უბრძოლია ნახევარზე ცარიელ კუჭით და ხუთი დღე და ღამე უწვნევია საშინელი ზარალი დაკარგულის ჯარისკაცით. ოიამა-კი გადადიოდა ნოძუსა და კუროკისაკენ, განუწყვეტელი კავშირი ჰქონდა ყველა რაზმებთან და, საცა რომელი ხალხი გამოდგებოდა, იმას მიჰმართავდა, რომ გამარჯვება მისი ყოფილიყო. ათის დღის საზარელ ომის შემდეგ ჩვენ დავკარგეთ ლიაოიანი თვისის ძვირფასის მიდამოებით და კიდევ ვაჟკაცობა ჩვენ, რომ გადავანარჩუნეთ ჩვენი ჯარი, არტილერია, ყოველ გვარი იარაღი, სურსათი, სასაინტარო მოწყობილება და რაზმები, რომლებითაც ამოვედით მუკდენში.

ასეთი საზარელი იყო ეს ომი. «აქ ჩვენის ერთის ლაშქრის წინააღმდეგ იბრძოდა სამი არმია იაპონელთა. კუროპატკინი დაეძგერა კუროკის, ოქუსა და ნოძუს, რომელიც ის კი იყო პირველათ შეერთებულიყვნენ. ორივე მხრიდამ გამოსულიყო სამრავ ნახევარ მილიონი ხალხი და ჰქუხდა ათასზედ მეტი ზარბაზანი. რამდენისამე დღის განმავლობაში ვაგონებით ეზიდებოდნენ დაჭრილებს. მათ შორის 442 ოფიცერი იყო და 13710 სალდათი, 256 ავადმყოფი ოფიცერი და 6237 ავადმყოფივე სალდათი. მაშასადამე, ჩვენ დაგვაკლდა 20,000 მეომარი! მესამე პლევნაში ნაკლები ზარალი ვნახეთ, ვიდრე ლიაოიანში. ახლა ამას დახოცილებიც დაუმატეთ. იაპონელთა ზარალი ორჯელ მაინც მეტი უნდა იყოს. ისინი თავიანთის მოკლულების დასაფლავებასაც კი ველარ ასწრობდნენ. სულ ბრძოლის ველზედ ვიზარალეთ ორივე მხარემ და 60,000 კაცი დავკარგეთ.» (რუს. სლ.).

# ახალი ამბავი

*** **სეზონის დაწყება.** მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს, 12 ოკდომბერს, სახაზინო თეატრში დაიწყება სეზონი ქართულ წარმოდგენებისა. საზოგადოდ ფასები დაკლებულია. სხვათა შორის, დაესწრება ცნობილი მოგზაური, საქართველოს მკვლევარი და არქეოლოგი ბარონ დე-ბაი.

*** **მისაბაძი მაგალითი.** განსვენებულის სტეფ. კონსტ. ზუბალაშვილის ძმებმა: ლევან, პეტრე და იაკობ ზუბალაშვილებმა, თავიანთის ხარჯით ერთი ხელი ტანისამოსი შეუკერეს კათოლიკეთა მიძინების ეკკლესიის სამრევლო სკოლის ყველა მოსწავლეთ. იმათისავე მინდობილობით, თვ. ვ. ი. თუმანიშვილმა დაურიგა ყველა მოსწავლეთ თითო მანეთი და აგრეთვე უხვად დააჯილდოვა ამ სკოლის მასწავლებელნიც.

*** **მთხოვნელთა მიღება მთავარმართებლის კანცელარიაში.** დღეს მთავარმართებლის თანაშემწე გენერალი ა. ა. ფრეზე სამსახურის საქმეთა გამო და კერძო მთხოვნელთ მიიღებს მთავარმართებლის საბჭოს კანცელარიაში, ლაბარატორიის ქუჩაზედ.

*** **გარდასახადთა პატიება.** ტფ. სახაზინო პალატამ შეატყობინა მოქალაქეთა გამგეობას, რომ, უმაღლეს მანიფესტის ძალით, ტფ. მოქალაქეთ ეპატიებათ სახაზინო და საკომლო გარდასახადთა ის „ნედოიმკები», რომელიც მოქალაქეებზეა დარჩენილი 1901 წლის პირველ იანვრამდე და რომელიც არ გარდაუხდიათ ამ წლის 30 ივლისამდეო. საგუბერნიო საერობო გარდასახადის «ნედოიმკები» მოქალაქეთ არ ეპატიებათ. მოქალაქეთა გამგეობის გამიანგარიშებით, ნაპატივებია, უმაღლეს მანიფესტის ძალით, სულ 29,674 მან. 42 კაპ. მოქალაქეთა გამგეობამ დაავალა რწმუნებულთ, განუმარტეთ მცხოვრებთ, რომ მათ შეუძლიანთ გამგეობაში მიიღონ ცნობები ნაპატივებ გარდასახადთა შესახებო.

*** **ჯარში გასაწვევთა საყურადღებოდ.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ, სამხედრო მინისტრთან შეთანხმებით, მიანიჭა უფლება სამაზრო (საოლქო) და საქალაქო სამხედრო საკრებულოთ, დროებითაც არ გაუშვან სახლში და დაუყოვნებლივ გადასცენ სამხედრო უფროსთა განკარგულებაში ახლად გაწვეულნი ის ჯარის კაცნი, რომელნიც ლოთობას დაიწყებენ და ჯარში გაწვევის დროს წესიერებას დაარღვევენ. იმათ კი, რომელთაც ჯარში გაწვევა ასცდათ, და იმათ, ნათესავებს, თუ ვინიცობაა წესიერება დაარღვიეს, სისხლის სამართალში მისცემენ, გაჰგზავნიან იქიდგან, სადაც ჯარის გაწვევა სწარმოებს და, შეიძლება, კიდევაც დააპატიმრონ. ეს განკარგულება ძალაში შევა ამა მიმდინარე წლის ჯარში გასაწვევად კენჭის ყრის დროს.

*** **ცნობები ჯარში გაწვეულთა შესახებ.** 10 ოკდომბერს ტფ. გუბერნატორმა მოწერილობანი დაუგზავნა ტფილისის გუბერნიის ქალაქების გამგეობათ, მაზრის უფროსთ, მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლთ, მომრიგებელ შუაკაცთა და სამაზრო ქალაქის მამასახლისთ და მოსთხოვა დაწვრილებითი ცნობანი იმ ჯარის კაცთა და სახლობათა შესახებ, რომელნიც ომში არიან გაგზავნილნი და რომელთა სახლობანიც ამა თუ იმ საზოგადოებრივ დაწესებულებათა მზრუნველობის ქვეშ იმყოფებიან. საჭიროა აგრეთვე ცნობანი იმის შესახებ, თუ რამდენი შვილი ჰყავს ომში გაგზავნილ ჯარის კაცს, რა შეძლების პატრონია და სხვ.; ცნობანი უნდა შეიკრიბოს იმ ჯარის კაცთა სახლობის შესახებაც, რომელნიც გაწვეულნი არიან ომში გასაგზავნად, ან ადგილობრივ სამსახურში.

*** **ხოლერა ბაქოში.** ოფიციალურის ცნობებით, 8 ოკდომბერს ხოლერით ავად გამხდარა 5 კაცი, ხოლო გარდაცვლილა—2 კაცი. 9 ოკდომბერს ავად გამხდარა 4, გარდაცვლილა—3 კაცი.

*** **ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების წესდების დამტკიცება.** კავკასიის მთავარ მართებლის კანცელარიას უკვე მოუვიდა შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის სენატორის დურნოვოს მიერ 15 სეკდემბერს დამტკიცებული წესდება ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებისა. მთავარმართებლის კანცელარია სთხოვს ამის გამო ტფ. გუბერნატორს, აცნობოს კანცელარიას, თუ როდის დაიწყებს მოქმედებას ხსენებული საზოგადოება და თან გაუგზავნოს 8 დაბეჭდილი ცალი საზოგადოების წესდებისა.

*** **რკ. გზის მოხელეთა გაგზავნა.** გუშინ იმიერ-ბაიკალის რკინის გზაზედ ტფილისიდგან გაიგზავნა 12 კაცი, სადგურის უფროსის თანაშემწენი. ამ ცოტახანში გაიგზავნება კიდევ სამი მემანქანის თანაშემწე და სამიც კაჩეგარი. მანჯურიაში მოითხოვეს რკინის გზიდგან 20 ხარატი.

*** **ომში დაჭრილი ქართველი.** გუშინ ტფილისში მუკდენიდგან დეპეშა მიიღეს, რომ ბრძოლაში რუსის სამხრეთ პოზიციებზედ დაიჭრა ტყვიითა და შრაპნელით ქართველი თავ. ოტია მიქელაძეო.

*** **ელექტრონის ტრამვაი ტფილისში** დეკემბრის პირველ რიცხვებში უკვე დაიწყებს ტფილისში, გოლოვინის პროსპექტს გარდა, მოძრაობას ელექტრონის ტრამვაი, ე. ი. რვა თვით იმაზე ადრე, რაც ხელშეკრულობაში უწერიათ. გოლოვინის პროსპექტზე და ოლგას ლიანდაგზე ელექტრონით მოძრაობა დაიწყება მაშინ, როცა საზღვარ-გარეთიდგან მოვა განსაკუთრებული ელექტრონის ბოძები ტრამვაისათვის. ტფილისში უკვე მიიღეს 19 ვაგონი ელექტრონის ტრამვაისა და 23 გზაშია.

*** **შოთა რუსთაველის ახალი სურათი.** შემთხვევა გვქონდა გვენახა შოთა რუსთაველის ახალი დიდი სურათი, მშვენივრად დაბეჭდილი ბრისტოლის საუცხოვო ქაღალდზედ. ამოდენა სურათი შოთა რუსთაველისა ჯერ არ დაბეჭდილა. სურათი გამოცემულია წიგნის მაღაზიის „ცოდნა“-საგან (ს. მერკვილაძე), დაბეჭდილია კ. მესხიშვილის ლიტოგრაფიაში ფოტოტიპიით.

*** **რუსეთის ფოსტა** სამი დღეა არ მოსულა ტფილისში, რადგანაც საქართველოს სამხედრო გზაზედ, სადგურ ფასანაურსა და კობს შუა, დიდი თოვლი მოსულა და გზა გაუფუჭებია. გუშინ ტფილისში ამბავი მოვიდა, რომ ამ გზაზედ მიმოსვლა დაიწყოო.

*** **მატარებლების შეჯახება.** ქარელში 10 ოკდომბერს მატარებელი № 163 დაეჯახა მატარებელს № 154. დაზიანდა ორთქლმავალი. სხვა უბედურება არა მომხდარა-რა. მატარებელთა მიმოსვლა ნახევარ საათს შემდეგ დაიწყო.

*** **სწავლის დაწყება.** ბალოსნობის სკოლაში გუშინ დაიწყო სწავლა. სწავლის დაწყების წინ გარდახდილ იქმნა პარაკლისი.

# საქართველო

**რიონის გაღმის კუთხე.** სასოფლო სამმართველოს შენობის დაწვა. 29 სეკდემბერს ს. ამაღლებაში დასწვეს გორას საზოგადოების სოფლის სამმართველოს შენობა. დაიწვა ყველა საქმეები და ქაღალდები. საქმის გარემოება შემდეგია: ამ ორის წლის წინად სოფლის სამმართველოს შენობა იდგა ს. გორაში, მიუდგომელსა და მიყრუებულს ადგილას, რის გამოც სოფლები: ბზვანი, ამაღლება და ინაშაური ვერ სწვდებოდნენ სამმართველოს საჭიროების დროს. როდესაც ს. ამაღლებაში დაარსდა ბაზარი, გაიმართა 40-ზედ მეტი სავაჭრო დუქანი, დაარსდა აფთიაქი და მეორე-კლასიანი სამრევლო სკოლა, მაშინ დაიწყო ლაპარაკი სოფლის სამმართველოს გადმოტანის შესახებ. ამის გამო ასტყდა უთანხმოება და ხალხი გაიყო ორ ჯგუფად. პირველი ჯგუფი, რომელსაც შეადგენდა სოფლები: როხი, სალამინაო და გორა, სცდილობდა იქვე დარჩენილიყო სოფლის სამმართველო; მეორე ჯგუფი კი, სოფლები: ბზვანი, ამაღლება და ინაშაური მონდომებული იყვნენ ამაღლებაში გადმოეტანათ შენობა. დაიწყო საჩივარი და ბოლოს ქუთაისის საგუბერნიო სამმართველომ გადასწყვიტა კანცელარიის გადმოტანა ს. ამაღლებაში, ბაღდად ორპირ-სამტრედიის გზა-ტკეცილის პირზედ, მდ. რიონის მარცხენა მხრივ, ჰალეხედ, რომელიც საუკეთესო ადგილად უნდა ჩავთვალოთ ყოველის მხრით ამგვარ დაწესებულებათათვის. გადმოიტანეს სამმართველო გადაწყვეტილებისამებრ. მოწინააღმდეგე ჯგუფმა გაასაჩივრა საქმე სენატში. სენატის მოადგილობით, 17 სეკდემბერს მოვიდა ამაღლებას ქუთაისის გუბერნატორი გენერალ-მაიორი ა. ა. სმაგინი, რომელმაც დაათვალიერა ყველა საკანცელარიო ადგილები, მაგრამ არც ერთი არ მოიწონა და განაცხადა სურვილი კანცელარია იქ დარჩენილიყო, სადაც გადმოტანილი იყო. ამ გარემოების შემდეგ არ გასულა ორი კვირა და კანცელარიას გაუჩინეს ცეცხლი და მთლად გადაბუგეს. გამოძიება სწარმოებს.

ამინდები აქეთ მშვენიერია. საცაა რთველიც დაიწყება. სიმინდისა და ღვინის მოსავალს კარგი პირი უჩანს. ქარი და მზიანი დღეები ბამბასაც ხელს უწყობს. მკვიდრნი, კარგის მოსავლის იმედით, წელ-გამართულნი და მხიარულნი არიან.

ვლადო ბზვანელი.

## სიყვარული

(ზღაპარი რუსულიდან)

რაღაცამ წყნარად გაიშრიალა... რა უნდა იყოს? პურს ან ხის ფოთლებს ხომ არ დაჰქროლა ნიავმა? ან, შეიძლება, სულმა, რომელმაც მიატოვა ქვეყნიერი ცხოვრება, ერთ წამს შეაჩერა თავის ჩქარი ფრენა მაღლა ცისკენ, შეჩერდა და წყნარად ამოიოხრა ქვეყნიურ ცხოვრებაზედ და ის ამოოხვრა ქარმა ჩამოიტანა დედამიწაზედ?! არა! პური ჯერ პატარაა და ქარს არ შეუძლია აალელვოს, ხის ფოთლები ეხლა იშლება, და არც სული, რომელმაც მიატოვა ქვეყნიური ცხოვრება, შეჩერებულა. არა, სიყვარული მიფრინავდა, წყნარად აშრიალებდა გედივით ფრთებს. გრძელი წამწმები რჩდილს ჰფენდა ღმერთას მოწყენილ სახეს. მისი მშვიდი თვალები სავსე იყო ბრწყინვალე იმედებით, და ღმერთა მთლად ჰაეროვანი იყო როგორც სურვილები, უმანკო იყო, როგორც ქალწულის პირველი ცრემლები.

ყოველივეს ეძინა, ღმერთას ვერავინ ხედავდა. ეძინა ტყეს, რომელიც გახვეულიყო თბილ გახაფხულის ღრუბლებში, ეძინათ მინდვრებს, ეძინა ხალხს, ეძინა სურვილებს, ეძინათ იმედებს, მწუხარებას და სიხარულს. მარტო მწყემსს, რომელსაც ჩამოესმა შრიალი, გამოეღვიძა და წამოდგა, აიხედა ზევით და დაინახა ღმერთას თავზედ ვერცხლებრივ მოციმციმე ვარსკლავი. ერთი დაამთქნარა, პირჯვარი გადაისახა, დაუსტვინა ძაღლებს და გასწია ცხენების დასათვალიერებლად...

# ფელეტონი

**კახელ მევენახეთა ახალ ამხანაგობის დაარსების გამო.**

(დასასრული *)

გამგებლობა ამხანაგობისა უნდა იყოს გულ-ახდილი, ცხადი ყველა წევრისა და უცხოსათვის, მიუხედავად იმისა მტერია თუ მოყვარე ამხანაგობისა ის უცხო. ამხანაგობა დაწყობიდამვე აცხადებს: 1) რომ მისი ღვინო არის ნამდვილი კახეთში გაზრდილ ვაზის ყურძნის წვენი; 2) რომ ამხანაგობის ვალის პასუხის მგებელია საამხანაგო უძრავი და მოძრავი ქონება ღვინიანათ და, თუ საჭიროება მოითხოვს, ყველა წევრის კერძო საკუთრებაც. ეს ორი პირობა აუცილებელია ღვინის მოვაჭრე ამხანაგობისათვის ბაზრის და ნდობის მოსაპოებლად. რაკი ეს ასეა, როგორ-და შეიძლება, რაიმე ამხანაგობის გამგებლობიდამ დაიფაროს? რომელისაც მოქმედების დამალვა, აგრეთვე მდგომარეობის ხელის დაფარება სამართლიანობასაც მოკლებულია და ძალიან ხშირად მავნებელიც არის. რადგანაც ამხანაგობა სავაჭრო დაწესებულებაა, როგორც ასეთი, იგი ფულზედ და მის ანგარიშზედ ტრიალებს. ვისაც ამ დაწესებულებასთან აქვს დამოკიდებულება, უნდა იცოდეს ყოველივე, რაც ამხანაგობას შეეხება დაწვრილებით, უნდა იცოდეს, ამხანაგობას ვისი რამდენი ჰმართებს. ვინაობა მესხებლისა საჭიროა, რადგანაც სხვა და სხვა პირობები და ვადები აქვთ მესხებელთ. უნდა იცოდეს, ამხანაგობისა ვის რავდენი ჰმართებს. ვინაობა მოვალისა საჭიროა, რადგან შეიძლება ამხანაგობისა სანდო პირსაც ემართოს, უნდობისაც, შეიძლება, შეძლებულსაც ემართოს, შეუძლებელსაც, შეიძლება შეძლებული იყოს და უნდო, შეიძლება შეუძლებელი იყოს და სანდო. ამბობენ, პირადი ანგარიში ამხანაგობასთან საიდუმლოაო. ვერ გამიგია, რა ანგარიში უნდა ჰქონდეს ვისმე ამხანაგობასთან თუ არ პირადი? თუ არ გავიგებ, ამხანაგობას ვისი ჰმართებს, ან ვის უმართებს, რა ღირსება აქვს რაოდენობას? ეს რაოდენობა შეიძლება ოქროთაც იქცეს და შეიძლება არა-რადაც იქცეს. რომელი უნდა ვიგულისხმო? სადაც დამალულია პიროვნება და ქონებრივი შეძლება, იქ ნდობა არ შეიძლება.

ამას გარდა, რადგანაც დამალვასაც საზღვარი აქვს, შესაძლებელია დამალვით გაფუჭებული იმ ზომამდე იყოს მისული, როცა გამოკეთება აღარ შეიძლება. ყველა დამზოგველ-შემნახველი ამხანაგობანი სხვათა შორის ამ ჭირმა იმსხვერპლა. დროზედ არ გამოაცხადეს გაჭირება, როცა შველა შეიძლებოდა, ბოლოს სამარის კარამდი მიიყვანეს.

მეორეს მხრივ, როცა გამგებლობა საიდუმლოებით არის მოცული, მიჭარვებული ხდება ისეთი პირები მოძებნოს თანამშრომელებად, რომელთაც სიმართლის თქმა არა თუ არ იციან, ეჯავრებათ კიდეც. ამისთანები კი მომატებულად ყალბნი არიან, თუნდა ყალბნი არ იყვნენ, გამგებლობისაგან მიღებული წეს-რიგი საქმიანობისა გააყალბებს. მე ვიცი ერთი დიდი მამულის გამგებელი, რომელიც ერთ დღესაც არ დააყენებს იმისთანა თანამშრომელს, რომელსაც სადმე წამოსცდება სიმართლე, ერთი ბოჭკა ღვინო დაგვიძმარდაო, ან უხეირო ღირსების ღვინო მოვიდა წელსაო, ე. ი. იტყვის სიმართლეს და ისიც იმისთანას, რომელიც უიმისოთაც ყველამ იცის. ძნელი საპოვნელია იმ გამგებლის თანამოსაქმეთა შორის სიმართლის მოყვარე კაცის აღმოჩენა, სიყალბე-კი ძვალ-რბილში აქვს ბევრს გამჯდარი და, რაც უფრო საკურველია, შინაც შეაქვთ.

ყველა წევრი ამხანაგობისა მოვალეა ამხანაგობის მდგომარეობა და საქმის მიმდინარეობა ზედ-მიწევნით იცოდეს. ამისათვის იგი აუცდენელად უნდა ესწრობოდეს საზოგადო კრებას. თუ საპატიო მიზეზის გამო ვერ დაესწრა, დამსწრეთაგან, გაზეთებიდგან და ამხანაგობის დავთრებიდამ უნდა დაწვრილებით გაეცნოს ყველა საკითხებს, რომლებიც საზოგადო კრებას ჰქონდა განსახილველად. ერთი მთავარ მიზეზთაგანი ყველა საზოგადო დაწესებულების დაღუპვისა ის არის, რომ საზოგადო საქმეს გულ-ცივად და დაუდევრად ვეკიდებით. ყოველ წელიწადს ვხედავ, რომ 10—70 ვერსის მანძილზედ მიდიან ნათლობასა და ქორწილში ისინი, რომელნიც საზოგადო კრებას არ ესწრობიან. ამხანაგობის საქმე კარგად მაშინ წავა, როცა ყველა ამხანაგი მოინდომებს საქმის კარგად წასვლას. როცა ამხანაგი მოინდომებს საქმის კარგად წასვლას, იგი ეცდება შეიტყოს საქმის მოთხოვნილება და იმის დაგვარად მოიქცეს ვენახის დაკრებაში, ღვინის დაყენებასა და მოვლაში. საზოგადო კრებაზედ დაუსწრებლობა დანაშაულად უნდა მიაჩნდეს ყველა ამხანაგსა. კრება, რომელზედაც კამათი იმართება სხვა-და-სხვა საკითხებზედ, რომელზედაც ყველა წევრისათვის აზრის გაზიარება შეიძლება, იგივ სკოლაა, სკოლა დიდებისათვის. ეს სკოლა ასწავლის სათემოთ აზრის გამოთქმას, ამისათვის საჭირო სიტყვების საუკეთესო წყობილებას, გაგონილის აწონ-დაწონას, ახალ ცოდნას, ან ნაცოდინარის გასწორებას, საზოგადოებაში თავის დაჭერას, მეტყველებაში ზომიერებას და ზრდილობიანობას და სხვ. როგორც ბევრის მცოდნეა დამნაშავე კრებაზედ დაუსწრებლობის გამო, რადგანაც მის ცოდნას და გამოცდილებას შეიძლება დიდი სარგებლობა მოეტანა ამხანაგობისათვის საზოგადოდ და კერძოდ უეჭველად სიკეთეს მოუტანდა შეკრებილ წევრთა უმრავლესობას, რომელთაც იმაზე ნაკლები ცოდნა აქვთ, დამნაშავეა სრულიად უვიცი წევრიც, რადგანაც მისი უვიცობა, თუ სრულიად არა, ცოტათი მაინც შემცირდებოდა; თუ დაესწრებოდა, უეჭველად რაიმე ცოდნას შეიძენდა და ამით ამხანაგობას სარგებლობას მოუტანდა. გარჩევა იმაშია, რომ მცოდინარეთა დანაშაულობა მრჩობლია, მრავალ-კეცია, უვიცთა დანაშაულობა-კი მარტივია. სამდურავით და საყვედურით ავიკლებთ ხოლმე, რომ მოწვეულთაგან ვინმე არ მოვიდეს, ამისათვის, ყველა საქმე უნდა გადასდოს მოწვეულმა. ხოლო თუ კრებაზედ არ მოსულმა გვითხრა, საქმე მქონდაო, სრულებით კმაყოფილნი ვართ, რადგანაც ჩვენ ყველას საზოგადო კრებისათვის რომელისაც თუნდა უბრალო საქმის გადადება, ცოდვათ მიგვაჩნია. ისიც-კი საპატიო მიზეზად მიგვაჩნია, თუ ბევრი არ დაესწრო ვისისამე წვეულობის გამო. ყველა ესენი უნდა მოიშალოს იმან, ვინც ამხანაგობის წევრობას ისურვებს. საზოგადო კრებაზედ მუდმივად დასწრება, აღძრულ საკითხებზედ სხვა-და-სხვა აზრის შეგნება საზოგადო ინტერესს დაგვაახლოვებს, მერე შეგვაყვარებს და ბოლოს შეგვაჩვევს კერძო, საკუთარი ინტერესი დაუმორჩილოთ საზოგადო ინტერესსა, რაც ჩვენ ისტორიულ ვითარებბის გამო დაგვიკარგავს: საზოგადო დაწესებულებას მხოლოდ ამისთანა დამოკიდებულება აღორძინებს და გააძლიერებს.

ამხანაგობის გამგებლობის პირთა არჩევნის დროს უნდა კარგად ცვახსოვდეს,

*) იხ. „ივერია“, № 224.

წყნარად მიფრინავდა სიყვარული. მის ქვეშ ყრუდ ხმაურობდა მიძინებული ქალაქი. უცბად სიყვარულმა გედივით შეკუმშა ფრთები და უძრავად გაჩერდა ცის სივრცეში. მწუხარე თვალებით გადახედა შავად შეჯგუფულ სახლებს და წმინდა ცრემლები დაებნა თვალთაგან. ცრემლები გადიქცნენ ბრწყინვალე მეტეორებათ და უხმოდ გადადიოდნენ ქალაქის თავზე. ღმერთამ თვალები მიაპყრო ბრმა მოხუც მთხოვარს და ხალხს, რომელიც დიდ ფაცა ფუცში იყო. თითოეული თავის საქმეზედ მიიჩქაროდა და ფიქრობდა მარტო თავის საქმეს; გული თითოეულისა გაშლილი იყო თავისთვის და დახურული სხვისთვის. ტყუილად იწვდიდა ბრმა მთხოვარა თავის გამხმარს უსიცოცხლო ხელს და გაიძახოდა: ,,შემიწყალეთ ბრმა მთხოვარა ღვთის გულისთვის‘‘! ყველა გვერდს უვლიდა და არავინ ყურადღებას არ აქცევდა. აღაპყრო ღმერთამ უძირო ცისკენ ცრემლებით თვალები და წარმოსთქვა: ,,თქვენ მდევნით მე, ხალხნო! თქვენ ამომგლიჯეთ მე თქვენის გულიდგან, ვითარცა უვარგისი ბალახი‘‘.

ვარსკვლავებმა გაიგონეს ღმერთას სიტყვები; შეჩერდენ და ყველა, დაწყებული დიდიდგან პატარამდე, სმენად გარდაიქცა. ხალხს კი არაფერი ესმოდა.

რისთვის მდევნით მე, ხალხნო-ძმებო, რომელიც მიწა ხართ, მიწადვე უნდა იქცეთ, თქვენ ქვის გული გაქვთ და გგონიათ, რომ ცხოვრობთ... სად არის მხიარული უმანკო სიცილი, სად არის მოყვასისათვის გაშლილი უბოროტო სული, სად არის წმინდა სიჭაბუკე და ძლიერი მოხუცებულობა!? დადიხართ თვალებ დახუჭული, როგორც ბრმები. როდესაც შესწყვეტთ ჩემს დევნას, დადგება საუკუნო მეფობა სიყვარულისა, უუმაღლესი ყველა მიწიერ სამეფოზე. ის მოეფინება მთელ ქვეყნიერობას; სიბოროტე და სიავე განიდევნებიან, გაბრწყინდება მისი მეფობა, როგორც გვირგვინში საუკეთესო თვალი.

ასე დაღადებდა ღმერთა, მაგრამ მისი სიტყვები არავის ესმოდა. მარტო ბრმა მთხოვარმა გაიგონა ღმერთას სიტყვები და აღაპყრო ზეცისკენ ბრმა თვალები.

«წმინდაო სიყვარულო,—წარმოსთქვა მოხუცმა,—მესმის შენი სიტყვები და გხედავ შენ ჩემი ბრმა თვალებით. საკვირველია შენი ლაპარაკი. მოისპობა მეფობა ბოროტებისა და დადგება მეფობა სიყვარულისაო. სულით და გულით მრწამს ეგ, მაგრამ მე მშიერი ვარ; არ ვიცი, საით წავიდე, რადგან ბრმა ვარ და ვერაფერს ვხედავ; ჩამოეშვი დედა-მიწაზე და მომეცი მე პურის ნაჭერი».

თითქო სიმმა გაიჟღრიალა ჰაერშიო, გაისმა ხმა: «ოხ, მე უბედურს! მე არა მაქვს პური და არც ვიცი, სად ვიშოვო», სთქვა სიყვარულმა, მიიფარა თვალებზედ ხელი და მწარედ, მწარედ, როგორც კაცმა, დაიწყო ტირილი. უცბად ბრწყინვალე ტანსაცმელი მისი გადნა, ვითა ორთქლი; ფრთები ტრიალ-ტრიალით გაიფანტა ჰაერში. სიყვარული ჩამოვიდა დედა-მიწაზედ. მას არ რცხვენოდა თავის სიშიშვილისა; ის იყო წმინდა, როგორც ბავშვი; მივიდა მოხუცთან და უთხრა: „გამიწოდე, მოხუცო, შენი ტანისამოსი“, და თავის მშვენიერ სხეულზედ ჩაიცვა რაღაც მყრალი ძონძი; ჩაჰკიდა ხელი მოხუცს და მასთან ერთად გაჰქრა ქუჩის სიბნელეში.

მალე აქა-იქ ფანჯრებთან გაისმოდა ორი ხმა: ერთი ახალგაზრდისი, მეორე კი მოხუცის: „გაიკითხეთ ბრმა ღვთის გულისათვის!“...

კ. კ.

# უცხოეთი

**ინგლისი.** ლიბერალთა მეთაურმა ასკიტმა ასე განმარტა ამ დღეებში ინგლისის საპოლიტიკო მდგომარეობა ამომრჩეველთა წინაშე: დღევანდელ მთავრობის მდგომარეობა ძალიან შერყეულია, მეტად დაუზოგველად ჰხარჯავდა ერის ფულს, მეტად კლასებრივი ხასიათი ჰქონდა მის საკანონმდებლო მოღვაწეობას, მეტად არ ესიამოვნა ხალხს მისი საქციელი სადამოჯნო რეფორმების საქმეში. ამიტომ დღევანდელი მთავრობა უნიონისტებისა დიდხანს ვერ გასძლებს. იძულებული იქმნება პარლამენტი დაითხოვოს და არჩევნები დანიშნოს. არჩევნებზედ კი მისი დამარცხება თითქმის ეჭვს გარეშეა. ამ სახით მთავრობა ჩაუვარდება ხელში ლიბერალებს და ის ეცდება გადასახადთა საქმეც მოაწესრიგოს, ხარჯებიც შეამციროს და ის კანონმდებლობაც ხელ-ახლად გადასინჯოს, რომელიც შეეხება სასმელის ყიდვას და სკოლის კანონს.

— ჯონ რედმონდი, ირლანდიელების მოთავე დაბრუნდა დუბლინს ამერიკიდან. იქ იყო წასული ფულის მოსაპოვებლად ირლანდიელთა დასის კასისათვის. დაბრუნების შემდეგ წარმოსთქვა სიტყვა კრებაზედ და სთქვა, რომ თავის დღეში ჩვენის საქმის იმედი ისეთი ძლიერი არა ყოფილა, როგორც დღესაო. ამიტომ მხნედ უნდა იყვნეთ, ერთობით განაგრძოთ მოქმედება, ვიდრე ჩვენს გულითადს სურვილს არ ავისრულებთ და ცალკე პარლამენტს არ დავიარსებთ დუბლინშიო.

**ავსტრია-უნგრეთი.** კოშუტისა და უგრონის მომხრე დასებმა დაუწყეს წინააღმდეგობა ტისას მთავრობას. იმათ მიჰყვნენ გრაფაპონიის მომხრენიცა. წინააღმდეგი ვართ იტალიასთან სავაჭრო ხელშეკრულობის დადებისაცა და იმ კომისიისაცა, რომელსაც მინდობილი აქვს. უნგრეთის პარლამენტის რეგლამენტი შეიმუშაოსო.

სადავიდარაბოდ არის კიდევ გამხდარი ისიცა, თუ რა მონაწილეობა უნდა მიიღოს ფულით საერთო ხარჯებში ავსტრიამ ცალკე და უნგრეთმა ცალკე. ტისამა სთქვა, რაკი პარლამენტები ავსტრიისა და უნგრეთისა ვერ მორიგდენ, კონსტიტუციის ძალით, ჩვენმა მთავრობამ თავის ნებაზედ გადასწყვიტა ეგ საგანიო.

უგრონმა დაიჭირა ეს ხელზედ და საშინლად დაუწყო კიცხვა ავსტრიას. მისი პოლიტიკა ვერაგული და მისი პარლამენტარიზმი მოჩვენებულიო. იქ მთავრობას უმეტესობა არა ჰყავს პარლამენტში და მაინც განაგებს საქმეებსაო.

**ოსმალეთი.** ოსმალეთის საფინანსო სფერაში ცოტაოდენი ცვლილება მოხდა. ამბობენ, სასიკეთო იქმნება ეს ცვლილებაო.

— მალე დაურიგებენ შესაწევარს მაკედონიაში და ადრიანოპოლის ვილაიეტში იქაურ გაჭირვებულ ბოლგარებს. ბოლგარიის მთავრობას ნება მიუცია 1 მილიონი ფრანკი აეღოთ სესხად და ეს ფული უნდა დაურიგონ ახლა. გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ ფულად დარიგება შესაწევარისა არ ივარგებს, რადგან ოსმალნი ართმევენ ამ ფულს სახელმწიფო გადასახადის ანგარიშში. გადაწყვეტილია, ფულის მაგიერ, დაურიგდეთ ხორბალი და თესლი ხნულების დასათესად.

**იტალია.** იტალიაში ახალი საპარლამენტო არჩევნებია დანიშნული. კონსერვატორები და ლიბერალები მოუმზადებელნი დაუხვდნენ ამ ამბავს. სამაგიეროდ სოციალისტები ყოვლად მომზადებულნი არიან. იმათ ეგონათ, რომ არჩევნები მერმისს მოჰხდებაო და ამიტომ ადრევე არ შეიდეს თავი. ასევე მოუმზადებელნი დაჰხვდნენ არჩევნებს რადიკალებიცაო.

**ამერიკა.** რუზველტს გადაუწყვეტია ხელმეორედ პრეზიდენტად არჩევნამდე ერთხელ კიდევ გაუსინჯოს კბილი ევროპის დიდ სახელმწიფოთა ამა თუ იმ მთავრობას სამშვიდობო კონფერენციის მოწოდების შესახებ ჰააგაში. როცა ხელმეორედ არჩეულ იქმნება პრეზიდენტად, საჭირო ღონისძიებასაც თვით კონფერენციის მოწოდებისათვის მაშინ მიიღებს.

— პრეზიდენტის არჩევნები დანიშნულია იმ თვის 20-ს, ანუ (ახალის სტილით) 8 ნოემბერს. ნიუ-იორკელი კორესპონდენტი გაზ. «ტაიმსისა» იწერება, რომ რუზველტის არჩევა უკვე უზრუნველ-ყოფილიაო. დემოკრატების კანდიდატი პარკერი გაშავდებაო. მისი დასი როგორღაც მიჩუმებულია და თითქო გაგულგრილებულიო. «ფრანკფურტერ ცეიტუნგის» კორესპონდენტი კი სწერს: ამ ბოლოს დროს გამოცოცხლდა დემოკრატების დასი, კლიველენდი დაჰპირდა, ერთს სიტყვას წარმოვსთქვამ პარკერის სასარგებლოდაო.

# თეატრი და ხელოვნება

**ქართულ სეზონის დაწყება.** დღეს სახაზინო თეატრში იწყება ქართულ წარმოდგენების სეზონი. წელს, როგორც მკითხველებმა უწყიან, ქართულ თეატრის ბედ-იღბლის გამგებლობა თავს იდვა ქართულ თეატრის გულ-შემატკივართა გუნდმა: შესდგა ინტელიგენტთა ამხანაგობა ორმოცის კაცისაგან, გამოიღო ცოტ-ცოტა ფული და შეუდგა დრამატიულ საზოგადოების წინანდელ გამგეობის მიერ გაფუჭებულ და გათახსირებულ საქმის გამოკეთებას...

მეტად სიმპატიური, მაგრამ იმავე დროს მეტად მძიმე საქმე იკისრა ამხანაგობამ. საქმე ის არის, რომ სახელმწიფო თეატრში ერთობ დიდძალი ფული უნდა აძლიოს—275 მ. ყოველ საღამოს. ამას ეხლა ზედ მიემატება სხვა წვრილმანი ხარჯი, რაც საერთოდ ავა 300 მანათამდე. ეგოდენის ხარჯის ატანა ძრიელ გაუჭირდება ქართულ თეატრს, რომლის შემოსავალი ორთა შუა რიცხვით წინა წლებში არ აღემატებოდა 400—450 მან. მაშასადამე, თითქმის სამი მეოთხედი შემოსავლისა უნდა მოხმარდეს თეატრის ქირას; რითღა უნდა შეინახოს ამხანაგობამ დასი? აშკარაა, რომ სახაზინო თეატრის წარმოდგენები ამხანაგობისათვის საზარალო იქნება, თუ რაიმე სხვა ს,ღსარი არ მოსძებნა.

ამბობენ, ამხანაგობა კვირა-უქმე წარმოდგენების მართვას ვეტცელის თეატრშიც აპირებსო. რა თქმა უნდა, ამ წარმოდგენების შემოსავალი ცოტათი მაინც შეამცირებს მოსალოდნელ ზარალს, მაგრამ ზარალი მაინც ვერ იკლებს, რომ ამხანაგობამ შესძლოს მისი დაფარვა თავის საამხანაგო თანხით და შესაძლოა რომ რამდენისამე წარმოდგენის შემდეგ დასი დაიშალოს...

ამიტომ, ჩვენის აზრით, საჭიროა რომ ამხანაგობამ ქართველ საზოგადოებას მიმართოს, რომელიც, უეჭველია, ყოველგვარ თანაგრძნობას გამოუცხადებს და ეცდება თავისის წვლილით შეეშველოს ამხანაგობას. თავდაპირველად უნდა გამრავლდეს თვითონ ამხანაგობა, რათა მეტი თანხა შესდგეს და მერე დარიგდეს აბონიმენტი.

ეს უკანასკნელი საშუალება—აბონიმენტის გავრცელება საზოგადოებაში—ყველაზე უფრო საიმედოა, მით უფრო რომ წელს, როგორც განცხადებიდგანა სჩანს, ამხანაგობა სრულებით განახლებულის რეპერტუარით აპირებს მოქმედებას. თვითონ თეატრი და სცენა თავის მოწყობილობით ხომ საუკეთესოა. ამიტომ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საზოგადოება სიამოვნებით დაირიგებს აბონიმენტს, რადგან, ზემოთქმულ უპირატესობათა გარდა, ფასებიც თურმე ძრიელ დაკლებულია ყველა ადგილებისა.

ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ თუ შარშან გუბერნიის მარშალმა, პატივცემულმა თავ. დ. ზ. მელიქიშვილმა ეგოდენ მხურვალე თანაგრძნობა გამოიჩინა ქართულს თეატრს აბონიმენტის გავრცელებით და სხვაფრივაც, იგი წელსაც არ მოაკლებს თავის მფარველობას ქართულს თეატრს, ვითარცა ეროვნულს საუკეთესო და კულტურულს დაწესებულებას.

სკვითი.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

11 ოქდომბერი

**ჩიფუ.** 10 ოკდომბერი. (რეიტერი). 3 ოკდომბერს იაპონელებმა ხელახლა მიიტანეს იერიში ერუშანის სიმაგრეებზე. ოთხ-ს საათის ბრძოლის შემდეგ იაპონელებმა რამდენიმე რუსის სიმაგრე და პატარა სერი აიღეს. დალნში ლაპარაკობენ, მალე იქმნება საზოგადო იერიშიო.

**ნიუ-იორკი.** (რეიტერი), «ამერიკის გაზეთი» ამბობს, ნიუ-იორკის გემმა ჰამბურგში მოიტანა ორი წყალქვეშ მავალი ნავი რუსებისა და ვლადივასტოკს იგზავნებაო. ნავები დაშლილია და სპეციალისტებმა უნდა დააწყონ რიგზე და შეჰკრან ნავათ.

**ლონდონი,** 10 ოკდომბერს. (რეიტერი). გავლილს საღამოზე მოსულმა სამუშაო გემების ფლოტილიამ აუწყა, რომ რუსის ესკადრა ღამე 9 ოკდომბერს შეეტაკა სამუშაო გემებს, ამ დროს დაირჩო ორი მეთევზე და ბევრი დაიჭრა.

**ლონდონი.** (რეიტერი). 50 სათევზაო გემის პატრონთა ვექილებმა გულლში განუცხადეს გარეშე საქმეთა სამინისტროს და საამილბაროს, რომ რუსის ესკადრა თავს დაესხა იმათ, როგორც აჩვენეს, რუსის ესკადრის ერთმა ნაწილმა ღამის 12 საათზე, 9 ოკდომბერს, გაიარა ის ადგილი, სადაც თევზს იჭერდნენ, ხოლო დანარჩენი ნაწილი რუსის ესკადრისა თავს დაესხა ინგლისის სათევზაო გემებსა და დაუშინა ზარბაზნები. გემი «კრენი» დაღუპეს. დახოცილ კაპიტნისა და უფროსი აფიცრის გვამები მიიტანეს გულლს ინგლისის გემითა, მიიყვანეს რავდენიმე დაჭრილიცა. გემები „მულმეინი“ და «მინო» ძალიან დაზიანებულნი მივიდენ გულლს. დარდი აქვთ, რომ მეორე სათევზაო გემიც დაღუპეს ხალხითაო.

**ლონდონი.** (რეიტ.). გაზეთებმა მსჯელობა იქონიეს სათევზაო გემებზე თავდასხმის შესახებ. გაზეთები თავშეკავებით ლაპარაკობენ და ამბობენ, რუსის მთავრობა მაინცა და მაინც პასუხის მგებელი არ არის ამ სულელურ საქციელისათვისაო.

**პეტერბურგი.** უმაღლესად გაშინჯულ იქმნენ კრეისერები «ოლეგი» და „ურალი“.

12 ოქდომბერი

**ლონდონი,** 11 ოკდომბერი. (რეიტერი). „მულმეინის“ კაპიტანმა აღწყა, ფლოტილია ღამე, 9 ოკტდომერს, პირველ საათზედ იდგა 220 მილზე სპურნხედიდან აღმოსავლეთად, თუმცა ბნელი ღამე იყო ð ნისლი იდგა, მაგრამ მაინც სჩანდა რამდენიმე დიდი გემი, რომელიც ერთ ღარზე მიდიოდნენ. იმ დროს, როდესაც მეთევზეებმა დაინახეს ესკადრა, უცბად აენთო ელექტრონი და მეთევზეებმა დაინახეს, რომ იმათკენ მიდიოდენ, იმათ ნაღმოსნებად მოეჩვენათ და ისე მივიდნენ «მულმეინთან», თითქო უნდა გვერდში ამოსდგომოდენო. შემდეგ ნაღმოსნები შეუერთდენ ესკადრას და დაგვიწყეს სრო-

---

რომ საზოგადო დაწესებულება მიცვალებულის მოსახსენებლად გაკეთებული შილა-ფლავი არ არის, ვინც წინ მივიდეს, მოუჯდეს და დაუწყოს ჭამა, რომ მარტო ზნეობრივი და გონებრივი ღირსებანი, უნარი და გამჭრიახობა არის სახეში მისაღები, რომ აქ ნათესაობას, ნათლიმირონობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს ისე, როგორც დღეს არის ჩვენს ცხოვრებაში.

ჩვენ არა ვართ შეჩვეულნი ყოველივე გაგონილის სიმართლე და სიმრუდე შევამოწმოთ ჩვენის საკუთარის თვალით, ჩვენი საკუთარი გონების მსჯელობით. ვიჯერებთ გაგონილს და ისიც იმისთანასაგან, რომელსაც არც თვით უნახავს და არც განუსჯია, ამბათ გაუგონია. ამისთანებზედ ვამყარებთ ჩვენს დასკვნას და ვარდგენთ ამა თუ იმ აზრს საქმეზედ, თუ პიროვნებაზედ. თელავში დეპოს დაღუპვა დაჰბრალდათ იმათ, ვინც საუკეთესო მმართველნი იყვნენ ამ დაწესებულებისა 1888 წლის 1-ლ მარტამდის და რომელნიც ამის შემდეგ შეიცვალნენ სხვა და სხვა მითქმა-მოთქმის მიხედვით სხვებითა. დღესაც საზოგადოებაში გაბატონებულია ის აზრი, რომ თელავის დეპო იმსხვერპლეს იმ გამგებელთ, რომელნიც 1888 წლამდის იყვნენ. ეს მოხდა იმიტომ, რომ მითქმა-მოთქმა იმ პირებზედ იყო გავრცელებული, რის გამოთაც საზოგადოებამ დასცვალა ისინი და, როცა ახლებმა დეპო დაღუპეს, ისევ იმ ძველ მითქმა-მოთქმაზედ დაამყარეს თავისი აზრი, გამოიყვანეს დასკვნა, ძველების დაღუპულიაო. არც ერთი კაცი არ გამოჩნდა, გაეცნო თვით საქმე, აეღო მაინც იმ დროინდელი გაზეთ «ივერიის № 60 და და წაეკითხა წერილი ი. კახელისა», რომელიც 1888 წლის ანგარიშს იხილავს და სავსებით ასურათებს ამ დროისათვის დეპოს მდგომარეობას. მით უმეტესად რომ განსვენებული იოსებ ცისკარაშვილი იმ დროს თიანეთში მსახურობდა, შემთხვევით დასწრებია საზოგადო კრებას, იმისი ნათქვამი და დაწერილი სანდოთ ჩასათვლელი იყო. დღევანდლამდის არ არის კაცი იკითხოს მაშინდელი ანგარიში, გაეცნოს მაშინდელ მდგომარეობას და გამოიკვლიოს ნამდვილი მიზეზები დეპოს დაღუპვისა. ესევე ითქმის მაჩხაანის დეპოზედაც. არც ერთმა ნამდვილი მიზეზი მისის დაღუპვისა არ დაასახელა, ისეთ მიზეზებზედ მიგვითითეს, რომლებიც სრულებით უდანაშაულონი იყვნენ. ნამდვილი მიზეზები კი გადაყლაპეს, რადგანაც ეს ერთის მხრივ ძალიან ბევრისათვის იყო საჭირო, მეორეს მხრივ, მითქმა-მოთქმაზედ აშენებული აზრი ხელს უწყობდა ნამდვილ მიზეზების გადაყლაპვასა. ასე ხდება ყოველთვის, როცა არ უნდათ გაგონილის სიმართლე გამოიკვლიონ საკუთარის თვალითა და გონებითა. ყოველივე ამბათ გაგონილი ამხანაგობის საქმის მსჯელობაზედ წევრისაგან უარყოფილი უნდა იყოს, ვიდრე არ შეამოწმებს და სინამდვილეში თვით თვისით არ დარწმუნდება.

ამხანაგობასთან წევრთა დამოკიდებულება ერთნაირი საზომ-საწონით უნდა იზომიწონებოდეს. არავითარ გაჭირებას, არავითარ პირობას არ უნდა ჰქონდეს ადგილი, არავისთვის უპირატესობის მინიჭება არ შეიძლება არაფრის გულისათვის. ყველა წევრის უფლება და ინტერესი მტკიცედ უნდა იყოს დაცული. ამხანაგობის საწარმოებელ თანხის შესადგენად, რასაკვირველია, წევრთ უნდა გამოიღონ ფული, ხოლო ამ ფულის რაოდენობა უნდა იყოს შეთანხმებული მოსავლის რაოდენობაზედ და არა ვენახების სივრცეზედ, როგორც ეს არის აწინდელ საზოგადოებაში. ამხანაგობას აქვს და ექმნება საქმე ვენახის მოსავალთან და არა ვენახთან, ამხანაგობამ უნდა მოუპოვოს ბაზარი და ხელსაყრელ ფასად გაასაღოს ვენახის მოსავალი და არა ვენახი. ამიტომ თვითეული წევრი უნდა იხდიდეს საწევრო ფულს ვენახის მოსავლის მიხედვით, და არა თვით ვენახის სივრცის მიხედვით. თვითეულ სოფელში წევრთა ვენახები ერთნაირის ტეხნიკით არის შემუშავებული, უნდა საშუალო რაოდენობა მოსავლისა გამოანგარიშებულ იქმნას ათი წლის მოსავლის მიხედვით და ამ საშუალო რაოდენობის მიხედვით უნდა იქმნას დადგენილი წილის ფულის გადასახდელი ერთეული; მაგ. ვსთქვათ, გადასწყდა, წევრმა მოსავლის თვითეულ საპალნეზედ 48 ვედროზედ-ერთი თუმანი შეიტანოს წილის ფულად. ვისაც საშუალო რიცხვით წელიწადში 5 საპალნე მოსდის, შეიტანს წილის ფულად 5 თუმანს, ვისაც 20 საპალნე მოსდის, 20 თუმანს შეიტანს და მებრვე სხვანი. რასაკვირველია, პირველიდგანვე ყველას არ შეუძლიან წილის ფულის შეტანა, იგი უნდა განაწილებული იყოს რამდენსამე წელიწადზედ. ვიდრე წილის ფული შეიკრიბებოდეს, საწაროებელი თანხა სესხით უნდა აიღოს ამხანაგობამ იმ ხნით, რა ხანიც წილის ფულის შესაგროვებლად იქმნება გადაწყვეტილი. რა სარგებელსაც ფულის პატრონი მოითხოვს, იგივე სარგებელი წევრმა უნდა გადიხადოს შესატანის ფულის რაოდენობის მიხედვით. ვსთქვათ, ამხანაგობის ვაჭრობის დასაწყობად 2 ათასი თუმანი არის საჭირო და ამხანაგობამ იშოვნა იმ პირობით, რომ 10 წელიწადს გადიხადოს ყოველ წლობით ხვედრის ნაწილის შეტანით. წილის ფულის შეტანაც ასევე 10 წელიწადზე განაწილდება თვისს სარგებლით. საწარმოებელ თანხის რაოდენობა გასასაღებელ ღვინის რაოდენობით გაიზომება.

ამხანაგობის დაარსების მზადებისათვის საჭიროა ვიცოდეთ, რომელ სოფლიდამ ვინ ისურვებს ამხანაგობის წევრობას. ამ ცნობების შეკრება თვითეულ სოფელში შეუძლიანთ იმ სოფლის შეგნებულთ. იმათ უნდა გააცნონ ხალხს ის პრინციპები, რომლებზედაც უნდა დამყარებული იყოს ახალ ამხანაგობის დაარსება, უნდა განუმარტონ თვით ამხანაგობის საჭიროება, ვისთვისაც ცხადი არ არის; შეადგინონ სია მსურველთა, ანუსხონ ვენახების სივრცე და მოსავლის რაოდენობა. თუ ამ ცნობების შემკრებნი ისურვებენ და ცნობებს გამოუგზავნიან თელავს ი. ზარაფიშვილს, იგი ცნობების მიხედვით აირჩევს საშუალო ადგილს და იქ დაჰნიშნავს მოსამზადებელ კრებას. ამ კრებაზედ იქმნება განხილული წესდების პროექტი, აქავე იქმნება განხილული ყოველი საკითხი, ამხანაგობის დაარსების შესახები, აქავე არჩეულ იქმნება კომისია, რომელსაც დაევალება წესდების დასამტკიცებლად წარდგენა და ღონისძიებათა გამოძებნა საწარმოებელ თანხის სესხად აღებისა. იგივე შეჰკრებს ყველას, ვისაც სურვილი ექმნება წევრობისა პირველ საზოგადო კრებისათვის, რომელმაც უნდა მოაწეს-რიგოს ამხანაგობის ორგანოები, თანახმად დამტკიცებულ წესდებისა.

ყველა ამას, რასაკვირველია, დრო უნდა, რომლის შემცირება სოფლის შეგნებულთა ბეჯითობაზეა დამყარებული.

ნადიკვრელი.

ლა, რომელმაც 20 წუთს გასტანა. შემდეგ ესკადრა სამხრეთისაკენ გაემართა. ინგლისის მთავრობის განკარგულებით, გამოძიებაა დანიშნული, რომ ნამდვილი ამბავი შეიტყონ ამ შემთხვევისა. სათევზაო გემების კაპიტანმა და ბევრმა სხვებმაც განაცხადეს, რუსის ესკადრამ 160 სათევზაო გემის შუა გაიარა, აკლია ექვსი გემი. «8 ოკდომბერს ღამე», სთქვა იმან,—არაფერი საფუძველი არა ჰქონდათ რუსებსა ეფიქრნათ, რომ იმათ უბრალო სათევზაო გემებთან არა ჰქონდათ საქმე. პროჟექტორებმა გაანათეს არე-მარე 6 მილზე“. ლონდონში ერთობ განცვიფრებულნი არიან. ჩრდილოეთ ინგლისში აღელვებამ საყვედურის ხასიათი მიიღო. ორი სათევზაო გემის კაპიტნები და სხვანიც, ამათში ერთი მეთევზე გემ «კრენისა» ლონდონს მოვიდნენ.

**ლონდონი.** (რეიტერი). მთავრობამ უბრძანა ორ მოკლულის მეთევზის სურათი გადაიღონ სათევზაო გემზე, რათა დაამტკიცონ, რომ ისინი დახოცეს ჩვეულებრივ მუშაობის დროს. იმათ ხელში შერჩენიათ დანები და თევზის ნაჭრები.—რუსის აღმოსავლეთის ლაშქრიდან დეპეშით იუწყებიან, ორთავე ლაშქარი სიმაგრეებს აშენებენ ოთხი ვერსის მანძილზე ერთი-ერთმანეთისაგან. შეშის უქონლობა ძალიან გაუძნელებს საქმეს ლაშქარს ზამთრის ბრძოლის დროს.

12 ოკდომბერი

**ლონდონი**, 11 ოკდ. (რეიტ.). ორივე ლაშქარი ბრძოლის მოლოდინშია. პატარ-პატარა შებრძოლება მოწინავეთა შორის განუწყვეტელია. ზარბაზნების სროლაც ყოველ დღეა. დიდი ომია მოსალოდნელი ხუნხეს ქვეით, სამხრეთად, საცა დიდი სამინდვრო საფარ-სანგრებია აგებული. იაპონელებს მრავლად მისდით მაშველი ჯარები.

როცა რუსთა გემები დასცემიან თავს ინგლისის სათევზაო გემებს, ერთი რუსთა გემი საღამომდე დარჩენილა იმ ადგილას გემების თვალ-ყურის სადევნებლად. სავაჭრო უწყებამ ბრძანება გასცა, გაშინჯულ იქმნას დაზიანებული სათევზაო გემები და აინუსხოს ზარალი.

**ვაშინგტონი**, 11 ოკდ. (რეიტ) კასინიმ ღრმა მწუხარება გამოაცხადა ჩრდილო ზღვაში მომხდარ უბედურ შემთხვევისათვის. რაღაც გაუგებრობის ბრალი იქნებაო. რუსეთს აუწყეს, რომ იაპონელთ განზრახვა აქვთ რუსთა ესკადრა იქამდე გაანადგურონ, ვიდრე პატარა შორს წავიდოდესო. ამიტომ როჟდესტვენსკის ებრძანა, არც ერთს გემს, მეტადრე ღამენება არ მისცე ისე მოუახლოვდეს ესკადრას, რომ ნაღმის მიცემა შეეძლოსო. ეშიდე აგრედვე ნაღმოსანთა თავ-დასხმას, რომელნიც შესაძლოა სავაჭრო გემის სახით მოგიახლოვდნენო.

**პარიჟი**, 11 ოკდ. სათევზაო გემების ამბავმა ლონდონში დიდი მღელვარება გამოიწვია. რუსეთის ელჩმა სთქვა, რომ ეგ ამბავი რაღაც გაუგებრობის შედეგიაო. შესაძლოა, რუსებმა იფიქრეს, ეგ გემები იაპონელთა დაქირავებული გემებია და მტრობა რამ უდევთ გულშიო. ამ შემთხვევაში, ის გემები ადვილად მივიდოდნენ რუსთა გემების ახლოს და ნაღმს უფეთქებდნენ. თუ დამტკიცდა, რომ მოკლულ და დაჭრილ იქმნენ მშვიდობიანნი მეთევზენი, ეს უბედური შემთხვევა, როგორც რუსეთის ელჩი ამბობს, რუსეთი დიდად შეინანებს და იწუხებს ამ ამბავსაო.

**პეტერბურგი**, დეპეშა გენ.-ად. კუროპატკინისა მის იმპერატორებით უდიდებულესობის სახელზე 11 ოკდ. თარიღით: «11ოკდომბერს მტერთან ბრძოლა არა გვქონია.

**ლონდონი**, 11 ოკდ. (რეიტ.). შუაგულის ლაშქრიდან იუწყებიან, რომ რუსნი 8 ოკდ. კვლავ გასულან შახეს წყალში და ამ ჟამად წინ იწევენ იაპონელთა სანგრებისაკენ. მიდიან წინ და თან სანგრებს აკეთებენ და თხრილებს იღებენ. მათი ზარბაზნები ესვრის ყუმბარებს მტრის სიმაგრეებს. იაპონელნი გამალებით იღებენ თხრილებს. შახეს ახლოს ბრძოლამ დაარწმუნა რუსნი, რომ შეუძლებელია პირ და პირ იერიშით მისვლა, როცა სეტყვასავით მოდის შარაპნელი ტყვია. რუსთა ზარბაზნები უკეთ მოფარებულ ადგილებშია ახლა, ვიდრე წინად იყო ხოლმე. მაინც მოწინაამდეგენი ძრიელ არა სცდილობენ, დაჰმალონ. ვინ საით იწევს და როგორ მოძრაობს.

**ჩიფუ**, 15 ოკდ. ჩინელთაგან ხმა გავრცელდა დალნიში, რომ ერთი ნაღმოსანი პორტ-არტურს ნავთ-სადგურის შესავალში დაეჯახა ნაღმს და დაიღუპაო. პორტ-არტურის ციხეში და მის გარშემო ჯარები ძალიან გაჭირვებაში არიან დიდის სიცივის მიზეზიაო.

**ტოკიო**, 12 ოკდ. (რეიტ.). მესამე სამხედრო სესხს დიდის თანაგრძნობით მიეგებნენ. ხელის-მოწერა ამ კვირია დაიწყება. თვით ტოკიოში იმდენია მსურველი, რომ აქვე შესდგება საჭირო სასესხებელი ფული.

**სოფია**. მოლაპარაკება ოსმალეთთან, რომ ლტოვილთ ნება მიეცეთ დაბრუნდნენ ადრიანოპოლის ვილაიეტში, გაჯავრების კილოთი სწარმოებს. ვითომ ბოლგარიის მთავრობა დაჰმუქრებია კიდეც ოსმალეთს, გავიხმობთ სადიპლომატო აგენტსაო.

**მოსკოვი.** 23 საგუბერნიო მარშალმა გადასდო შეერთებულ კრებაზედ 50,000 მან. მხედართათვის თბილი ტანისამოსის შესაძენად. 43 საგუბერნიო თავად-აზნაურობამ შეიტანა უკვე 600,000 მანეთი დაპირებულ 1.200,000 მანეთიდან.

**ბელგრადი**. დიდი კრება იყო ლიბერალებისა. რიბარაცმა წარმოსთქვა სიტყვა. ლიბერალთა დასი ეროვნულ დასად უნდა გადაიქცესო. რიბრაცი აირჩიეს დასის მეთაურად. აბაკუმოვიჩი გამორიცხეს თავიანთ გუნდიდან. ყველა გაამცა ახალ დასის საგარეო პოლიტიკის პროგრამამ. ნუ გვინდა მორიგება ბოლგარიასთანაო, საჭიროა უმწვერვალესი ეროვნული პოლიტიკა და განხორციელება პრინციპუსა „კბილი კბილის წილ“, იმიტომ რომ სისხლი დაიღვარა სერბიელებისა მაკედონიაში.

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე**.

გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი**.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა ამ წლის 18 აპრილიდან.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.)

ა) ტფილისიდან მიდის:

**ბაქოს**: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 5 ს. 25 წ. (6 ს. 23. წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 9 ს. 10 წ. (10 ს. 8 წ.).

**ბათუმს**: 1) სწრაფი № 1 საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 1 ს. 24 წ. (12 ს. 22 წ.) 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.)

**ერივანსა და ყარსს**: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 31 წ. (3 ს. 29 წ.).

**ბორჯომს**: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 8 ს. (8 ს. 58 წ.).

ტფილისში მოდის:

**ბაქოდან**: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 2 წ. (3 ს.); საფოსტო № 3 ნაშუადღევის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 52 წ. (6 ს 50 წ.); საქონ. სამგზ. № 17 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.).

**ბათუმიდან**: 1) წრაფი № 2 დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.), საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.): სამგზავრო № 6 საღამოს 10 ს. 35 წ. (11 ს. 33 წ.).

**ერივან-ყარსიდან**: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 47 წ. (4 ს. 45წ.).

**ბორჯომიდან**: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს 18 წ.); სამგზავრო 9/10 საღამოს 9 ს 9 წ. (10 ს. 7 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

**ტფილის-ბათუმისაკენ**: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ღამის 12 ს. 53 წ. (1 ს. 51 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 37 წ. (7 ს. 35 წ.); 3) სამგზ. № 5. შუადღის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 საღამოს 1 ს. 10 წ. (2 ს. 8 წ.)

გ) ბათუმიდან გამოდის:

**ბაქო-ტფილისისაკენ**: 1) სწრაფი № 2 საღამოს 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 9 ს. 6 წ. (6 ს. 4 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 5 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

**ბაქო-ტფილისისაკენ**: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) ნაშუადღევის 2 ს. (2 ს 58 წ.); 3) დილის 8 ს. 45 წ. (9 ს. 43 წ.).

**ბათუმისაკენ**: 1) ღამის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.); 2) საღამოს 8 ს. 45 წ. (9 ს. 43 წ.); 3) ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

**ფოთისაკენ**: № 45/44 ნაშუადღევის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.).


# განცხადებანი

ქუთაისში

ს. ბ. თოფურიას

## სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებს სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

## „ცოდნა“-ს

წიგნის მაღაზიაში

ისყიდება:

| | |
|---|---|
| რაჭა სოსიკო მერკვილაძისა. . . . | 20 კ. |
| ლექსები ილია ჭავჭავაძისა—სურათით | 15 კ. |
| რაშია ბედნიერება? იასე რაჭველისა . | 10 კ. |
| სამშობლო და კაცობრიობა ი. მაჭავარიან. | 10 კ. |
| სიმღერა აკაკისა სურათით . . . . . | 15 კ. |
| წმიდა გიორგის რაზმი აკაკისა . . . . | 5 კ. |
| გრიგოლ ორბელიანის ლექსები. . . | 20 კ. |
| კულტურა ლიპერტისა ნათ. კ. ყიფიანისა | 50 კ. |
| ლექსიკონი რუსულ-ქართული . . . | 50 კ. |
| ლექსიკონი საბა ორბელიანისა. . . | 2 მ. 50 კ. |
| სახოკიასი რუსულ-ქართულად. . . . | 20 კ. |
| სამეგრელოს საერო სკოლები ლ. ლოლუასი | 5 კ. |
| აბში აჩუკი აკაკისა . . . . . . | 30 კ. |
| ვაჭრული ჭკუა აკაკისა . . . . . | 5 კ. |
| პატარა ჩონგური (დედა ენა) . . . | 5 კ. |
| დათუნა გოცირეძე და რაჭის ერისთავი, როსტ. | 5 კ. |
| ოქრუა (ხალხური ზღაპარი) . . . . | 5 კ. |
| სამი ზღაპარი . . . . . . . . . | 10 კ. |
| აბრამის და იობის ლექსი . . . . . | 3 კ. |
| თამარ მეფე სურათით . . . . . | 5 კ. |
| სურათი თამარ მეფისა დიდი . . . | 1—50 კ. |
| » » » პატარა. . . » | 6 კ. |
| თხზულება ია. ეკალაძისა . . . . | 1— ,, |
| ქვათა ღაღადი ი. ჭავჭავაძისა . . . | ,,—30 კ. |
| თარგმანი იგივე რუსულად . . . . | ,,—50 კ. |
| დამაკვირდი, ბრძენთა აზრები . . . | ,,—50 კ. |
| მამიდა ასმათი გ. წერეთლისა . . . | ,,—20 კ. |
| თავ გადასავალი აკაკისა . . . . | 1—,, ,, |
| სიტყვიერების თეორია ე. კ. . . . . | 1—,, ,, |
| გლეხი კაცის ისტორია 2,3, და 4 ნაწილი | 1—80 კ |
| დამონებულნი ნათ. თ. სახოკიასი . . | 1—,, ,, |
| ლექსიკონი ქართ.-რუს. ჩუბინაშვ. ყდ. | 9—,, ,, |
| ამ გვარივე რუსულ-ქართული ყდით . | 3—,, ,, |
| ლექსიკონი რ. ერისთავისა ბოტინიკრ. | „—60 კ. |
| ანტონ კათალიკოზ. ქართ. გრამატიკა | 1—,, კ. |
| ვახუშტის გეოგრაფია . . . . . | 2—,, ,, |
| ისტორ. საბუთები შიო მღვიმის მონასტრ | ,,—50 კ. |
| ვეფხვის ტყაოსანი წ. კ. გამოცემული. | ,,—60 კ. |
| მზა მეტყველება ანტონ კათალიკოზისა. | 2—,, ,, |
| დავით გურამიშვილი . . . . . . | 1—,, ,, |
| ქართლის ცხოვრება I, II და III. . | 1—80 ,, |
| Вступл. Грузіи въ сос. Имп. Рос. | „—40 к. |
| Исторія Грузинск. церк. Е. К. | 2 р. „ „ |
| კალმასობა იოვანე ბატონიშვილისა . | 1—,, ,, |
| ამირან-დარეჯანიანი . . . . . . | 1—,, ,, |
| ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტის . | 1—,, ,, |
| რამას განდევნა ალ. ს—შლისა. . . | ,,—40 კ. |

თხუზლებანი: აკაკი წერეთლისა, ილია ჭავჭავაძისა. ალ. ყაზბეგისა, მამია გურიელისა, გიორგი წერეთლისა, გრ. აბაშიძისა, ვაჟაფშაველასი, არაგვისპირელისა და სხვათა.

| | |
|---|---|
| საქართველოს დიდება, საბინისასა. . | 1—20 კ. |
| სურათები ქართველ მწერალთა და მსახიობთა საფოსტო ღია ბარათზე თითო. | ,,—5 კ. |

აქვე ისყიდება სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელოები და ყოველგვარი ქართული წიგნები.

ვინც მოისურვებს წიგნების დაბარებას, დაუყოვნებლივ გაეგზავნება ფას დადებით.

მისამართი ფოსტით: Тифлисъ книжный магазинъ „ЦОДНА“.

მაღაზიის პატრონი **სოსიკო მერკვილაძე.**

**ქართველ ქალთა ამხანაგობის სამკერვალოში** დაიწყო მუშაობა. მიიღებენ შესაკერად

## კაბებს

ძლიერ იაფად, ოთხიდან ექვს მანეთამდე ფასონს.

იქვე, სახელოსნოს მეორე განყოფილებაში, მიიღებენ შესაკერად ყოველ გვარ **თეთრეულს, მეტკებს** და მოსაქარგად აბრეშუმს—ფერადის ძაფებით, მუთაქა ბალიშს და სხვ.

**ჭრა-კერვის** კურსებზედ მიიღებენ მოზრდილ ქალებს.

**მისამართი**: ვერა, მოსკოვის ქუჩა, № 6.

(4—344—4).

## ხუთი ახალი წიგნი

წიგნის მაღაზია „ცოდნა“-ს გამოცემა.

| | |
|---|---|
| ილია ჭავჭავაძის ლექსები. . . . . . | 15 კაპ. |
| რაჭა, სოსიკო მერკვილაძისა . . . . . | 20 ,, |
| რაშია ბედნიერება, იასე რაჭველისა . . . . | 10 ,, |
| სამშობლო და კაცობრიობა, ივ. მაჭავარიანისა . . . | 10 ,, |
| ნაკვესები ქართველ მწერალთა და ბრძენთა ნათქვამი . . | 7 ,, |

ვინც ჩვენ მიერ გამოცემულ წიგნების, თვითეულ გამოცემიდგან იყიდის არა ნაკლებ ერთის მანეთისას, ყოველ მანეთში დაეთმობა თითო აბაზი. მისამართი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“.

(40—40). მაღაზიის პატრონი სოსიკო მერკვილაძე.

გაზეთ „ივერიის“ რედაქციამ შესაძლებლად სცნო ა. სუმბათაშვილის 5 მოქმედ. დრამა-ლეგენდა

## ღალატი,

თარგმნილი გრ. ყიფშიძის მიერ, დაეთმოს მსურველთ 50 კაპ.

ვინც ათ ცალს ანუ მეტს მოითხოვს, თითო წინგნი დაეთმობა ორ აბაზად, აგრედვე ფას დადებით დაეთმობათ მსურველთ გაზეთ «ივერიის» მიერ გამოცემული შორეულ აღმოსავლეთის დაფერადებული

## ქართული რუკა

თითო ცალი 10 კაპ.

ვინც ათ ცალს ანუ მეტს წაიღებს, დაეთმობათ თითო ცალი 5 კაპ.

ვისაც კი გსურთ აიცილოთ გაქურდვა და დამშვიდებული იყვეთ **იყიდევით**, მარტო 4 მან. 90 კაპ., საიუდამო, უკეთესად შემუშავებული ავტომატიური ხმაურობის გამომწვეველი აპარატი „**ენდოლიანსი**“, მოწონებული ფინანსთა სამინისტროს მიერ № 13,884.

შეგიძლიანთ დაჰკეტოთ ყოველ გვარი სადგომი და საწყობი, ისინიც კი, რომლებიც იმყოფებიან თქვენგან მოშორებით. შეგიძლიანთ აგრეთვე წახვიდეთ სადმე დულ-გამშვიდებული, რომ არ გეშინოდეთ ქურდებისა. „**ენდოლიანსი**“ ანიშნებს როგორც შიგნით, ისე გარეთ მყოფთაც. რაწამს დაუპატიჟებელი სტუმარი შეხებია კარებს, ფანჯარას ანუ კარებს გასაღებად, აპარატი „**ენდოლიანსი**“, გარედგან შეუმჩნეველი, გამოიწვევს საშინელ ხმაურობას, მარტო თოფის წამლის აფეთქებით, საშიში არ არის. ხმაურობა ისმის სადგომის შიგნითაც და გარეთაც და აგრედვე შორ მანძილზედაც. თუ სადგომის პატარა ზარს შეაერთებთ აპარატთან, მაშინ აპარატის ხმაურობასთან ერთად ზარი დაიწყებს წკარუნს, რომელ სადგომშიაც უნდა იყოს, და არ შეჩერდება ვიდრე სახლის პატრონთაგანი ვინმე არ შეაჩერებს.

„**ენდოლიანსი**“ საჭიროა საყდრებისა, სახლებისა აგარაკებში, მაღაზიებისა, ბეღლებისა, ჩარდახებისა, სარდაფებისა, მარნებისა, თავლებისა და სხვა სადგომების გაქურდვისაგან დასაცველად. როგორ ადგილშიაც უნდა იყოს სადგომი, სულ ერთია. ეს აპარატი მაგარი ნამუშავარია და ყველას ადვილად შეუძლიან იხმაროს.

ფასი გაგზავნით: ნიკელ გადაკრული აპარატი ჰყირს 4 მან. 90 კაპ., შევერცხლილი—5 მან. 60 კაპ.; ფასს დადებით 10 კაპეიკით მეტი ჰღირს, აზიის რუსეთში კი 30 კაპეიკით მეტი. ვინც ციმბირში გაიწერს, უნდა გამოგზავნოს 2 მანეთ. შეიძლება ფოშტის მარკებით.

მსურველთ მოითხოვონ ამ ადრესით: Т-во „Эндолянъ“. Варшава, Милая 37/105.

განსაკუთრებითი ნაწარმოებია.

(5—6—)

ს.-პეტერბურგის კომპანია

## „ნადეჟდა“

ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად.

## დაარსებულია 1847 წელს

| | | |
|---|---|---|
| **ძირითადი** | **თანხა** . . . . | **1.650.000** მან. |
| **სათადარიგო** | **თანხ** . . . . | **2.664.808** მან. |

დაზღვევის ოპერაციები.

ა) დაზღვევა საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვით ირხით.

ბ) დაზღვევა ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) დაზღვევა ყოველგვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბირჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) დაზღვევა განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას ასრულებს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან. სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350 ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგება ს.-პეტერბურგის კომპანიის **ნადეჟდას**„-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისკის პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნავოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნავოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო ქართველთა თავად-აზნაურობის საზოგადოების სახლშია, დანოვის ქუჩა, № 6, ტელეფონი № 433. (50—6—48)

საუკეთესო სააგარაკო ადგილები

## ზედ სურამის მახლობლად

მაღლობს და ტყით შემოსილ მთებ შორის, სხვა და სხვა ზომისა,

## იყიდება

იაფად და ხელ-მისაწვდომ ფასად.

იკითხეთ „ივერიის“ რედაქციის კანტორაში. (10—10


Дозволено цензурою Тифлисъ 12 октября, 1904 г. Тип. Е. И Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семинарій